თემა 7

ფერები

Цвет

ამოცანები:

- ვასწავლოთ ქართულის, როგორც მეორე ენის შემსწავლელ მოსწავლეებს ფერების სახელები.
- მათ შეეძლებათ დაახასიათონ საგანი ფერის მიხედვით
- კითხვის - რა ფერია? - სწავლება.
- ფერები ზედსართავი სახელებია, რომლებიც აღწერს არსებით სახელებს, შესაბამისად, მნიშვნელოვანი საწყისი ეტაპია ენის შესწავლისთვის.

გაკვეთილის თემა:

1. ტექსტი: **ფერები და გაზაფხული**

არმენი და რამილა მეგობრები არიან. მეგობრებს ხატვა უყვართ. არმინი ფანქრით ხატავს. რამილა ფუნჯით ხატავს. არმინი და რამილა ერთად ხატავენ. არმინი ხატავს, რამილა აფერადებს
არმინ დახატე ხე, -ებნება რამილა არმინს.
არმინი ხატავს ხეს
რამილა მწვანედ აფერადებს ხეს
არმინ დახატე ბალახი.
არმინი ხატავს ბალახს. რამილა მწვანედ აფერადებს ბალახს.
არმინ დახატე ია. არმინი ხატავს იას. რამილა ლურჯად აფერადებს იას;
არმინ დახატე ენძელა. არმინი ხატავს ენძელა. რამილა თეთრად აფერადებს ენძელას
არმინ დახატე ვარდ- ეუბნება რამილა არმინს. არმინი ხატავს ვარდს. რამილა წითლად აფერადებს ვარდს.
არმინ დახატე ცა. -ებნება რამილა არმინს. არმინი ხატავს ცას. რამილა ცისფრად აფერადებს ცას.
არმინ დახატე მერცხალი. ეუბნება რამილა არმინს. არმინი ხატავს მერცხალს. რამილა შავად აფერადებს მერცხალს.
არმინ დახატე მზე- ეუბნება რამილა არმინს. არმინი ხატავს მზეს. რამილა ყვეთლად აფერადებს მზეს.
რა დავხატეთ? -ეკითხება არმინი რამილას.
მწვანე ხე, მწვანე ბალახი, ლერჯი ია, თეთრი ენძელა, წითელი ვარდი, ცისფერი ცა, შავი მერცხალი, ყვითელი მზე. დღეს პირველი მარტია. გაზაფხული დავხატეთ

1. ალექსანდრე აჩვენებს ფერებს ლიზას და ეკითხება, ლიზა პასუხობს.

ლექსიკა	ძირითადი ფრაზები/წინადადებები
• **ფერები**-წითელი, ყვითელი, ლურჯი, შავი, ნარინჯისფერი, მწვანე, იისფერი, ვარდისფერი. • **არსებითი სახელები**-ვაშლი, მსხალი, ბანანი, სტაფილო, საზამთრო, ატამი, ლიმონი.	• რა ფერია? • წითელია. • რა ფერია ვაშლი? • ვაშლი მწვანეა. • რა ფერია ლიმონი? • ბანანი ყვითელია.

ნახატები: სხვადასხვა ხილი და ბოსტნეული. ზემოთ აწერია ხილის სახელი, ქვემოთ - ფერი.

3. თამაში: „ფერადი“ ხილი

დადეთ იატაკზე ხილის შესაბამისი ფერები და რძე. დიდ ჯგუფთან თითოეული ფერის რამდენიმე ვარიანტი დაგჭირდებათ. გამოიყენეთ ტერფის ფერადი აპლიკაცია, კლასობანას ფერადი ფურცელი ან სხვა რესურსი, რაც გაგაჩნიათ. დაუკარით მუსიკა, ბავშვები აცეკვეთ. შემდეგ დაუსვით შეკითხვა: „რა ფერის არის ბანანი?“ ბავშვები უნდა დახტნენ შესაბამის ფერზე. ეს თამაში დაეხმარება მოსწავლეებს რამდენიმეჯერ მოისმინონ ხილის სახელი და ასევე გაიმეორონ ფერების სახელწოდებები. არ დაგავიწყდეთ იკითხოთ: „რა ფერის არის რძე?“

თუ თქვენმა მოსწავლეებმა ფერების სახელწოდებები არ იციან საშუალება მიეცით, დახტნენ თქვენ მიერ დასახელებული ხილის შესაბამის ნახატზე. თქვენ ამ აქტივობისთვის რამდენიმე სურათი დაგჭირდებათ, რომ მთელი ჯგუფი ერთ პატარა სურათს არ მიაწყდეს. ისე უნდა მოაწყოთ, რომ თქვენს ბავშვებს საკმარისი სივრცე და სურათები ჰქონდეთ თავისუფლად თამაშისთვის.

კარტები-ნახატები:

1. თეთრი
2. შავი
3. წითელი
4. ყვითელი
5. მწვანე
6. ლურჯი
7. ცისფერი
8. ყავისფერი
9. ვარდისფერი
10. ნარინჯისფერი
11. იისფერი